ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2858062

ნომერი: AR1437378

თარიღი : 05.09.2016

გაცემის თარიღი : 05.10.2016

გაცნობის თარიღი : 05.10.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გრიშაშვილი , N 29 / ქალაქი თბილისი , გრიშაშვილის ქ. N29-ის მიმდ. ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი ოქრიაშვილი პ/ნ 01511097883
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 5 ბ. 79

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს."ინვესტი" კოდი: 406117330

ნომენკლატურა :

- სასტუმრო
- III კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- პროექტის შეთანხმება

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 1385459
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 22.07.2014

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სასტუმრო
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: დავით მახარობლიშვილი

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შ.პ.ს."დმ სტუდია"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404862038

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შ.პ.ს."ინვესტი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 406117330
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გიორგი ოქრიაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01511097883

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 582.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 379.7
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 1914.7
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 315.4
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 84.3
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 719.8
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 32.3
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 2400.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 1500.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 900.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 24.3
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 17.7
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 6.6
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 366.1/568=0.6
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 1149.1/568=2.0
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 106.8/568=0.2
- .სასტუმროს ნომრების ფართობი (კვ.მ): 762.9

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 2337404
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 10.12.2015

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 2337404
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 10.12.2015

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, გრიშაშვილის ქ. N29/ გრიშაშვილის ქ. N29-ის მიმდებარედ სასტუმროს კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმების საკითხს.

გაცნობებთ, რომ სამსახურის 20.03.2015 წლის N1794452 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი – კრწანისი), გრიშაშვილის ქ. N29 / გრიშაშვილის ქ. N29–ის მიმდებარედ, შპს "ინვესტი"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე სასტუმროს არქიტექტურული პროექტი. 07.04.2015 წლის №1816331 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და

სანებართვო მოწმობა, რომელიც ძალაში იყო 2015 წლის 14 აპრილიდან 2017 წლის 14 აპრილის ჩათვლით. 10.12.2015 წლის №2337404 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი – კრწანისი), გრიშაშვილის ქ. N29 / გრიშაშვილის ქ. 29–ის მიმდებარედ, შ.პ.ს. "ინვესტი"–ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე სასტუმროს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა სანებართვო მოწმობა, რომელიც ძალაში იყო 2015 წლის 14 დეკემბრიდან 2017 წლის 14 დეკემბრის ჩათვლით.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 10.03.2016 წლის N120 ბრძანებით ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 10.12.2015 წლის N2337404 ბრძანება მისი ძალაში შესვლის დღიდან.

ზემოაღნიშნული ბრძანება შ.პ.ს. "ინვესტ"-ს წარმომადგენლის რ. მოსეშვილის მიერ გასაჩივრდა ქალაქ თბილისის მერიაში (განცხადების N101139/15, 22.03.2016). ადმინისტრაციული საჩივრის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე და 181-ე მუხლებთან შესაბამისობის შემოწმების შედეგად, ადმინისტრაციულმა ორგანომ განიხილა ადმინისტრაციული საჩივარი და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 25 მაისის N1-907 ბრძანებით ძალაში დარჩა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 10.03.2016 წლის N120 ბრძანება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან ბათილად არის ცნობილი 10.12.2015 წლის N2337404 ბრძანება, სამსახური თქვენს მოთხოვნას, ქ. თბილისში, გრიშაშვილის ქ. N29/ გრიშაშვილის ქ. N29-ის მიმდებარედ სასტუმროს 10.12.2015 წლის N2337404 ბრძანებით შეთანხმებული პროექტის კორექტირების თაობაზე ვერ დააკმაყოფილებს.

20.03.2015 წლის N1794452 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის კორექტირების მოთხოვნის შემთხვევაში სამსახურს მიეცემა შესაძლებლობა იმსჯელოს თქვენი მოთხოვნის თაობაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.